პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 233 (4743)

1972 წ. 25 ნოემბერი, შაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



## თბილისელი წყალბურთელები II ადგილზე

იუნიორ წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატში (მოსკოვი) VI ტურამდე გათამაშებას თბილისის „დინამოსა" და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის გუნდები ლიდერობდნენ.

VI ტურში ინტერესს იწვევდა კიეველ და თბილისელ თანაგუნდელთა შეხვედრა. მატჩმა უძლიერესი ვერ გამოავლინა — 3:3. ალმა-ათის „დინამომ" სძლია ლენინგრადის „ბალტიკას" — 5:3, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდმა კი მოსკოვის „ტორპედოს" — 4:3. მოსკოვის „დინამომ" თანაქალაქელ სტუდენტებს მოუგო — 7:3, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალურმა საწყლოსნო სპორტკლუბმა კი ვოლგოგრადის „სპარტაკს" — 6:3.

მომდევნო ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები — მოსკოველი მეზღვაურები და თბილისის დინამოელები. მოსალოდნელი იყო, რომ შეხვედრა დაძაბული იქნებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა, მოსკოველებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და იოლად გაიმარჯვეს — 7:2. ვოლგოგრადის „სპარტაკმა" დაამარცხა მოსკოვის „დინამო" — 6:5, ლენინგრადის „ბალტიკამ" — მოსკოვის უნივერსიტეტი — 6:2, კიევის „დინამომ" — მოსკოვის „ტორპედო" — 4:3. ალმა-ათის „დინამოსა" და წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილიის გუნდების მატჩი ფრედ დამთავრდა — 5:5.

### ბოლოს...

მოსკოვიდან რედაქციამ მიიღო დეპეშა, რომელსაც ხელს აწერს თბილისის „დინამოს" წყალბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი რ. ჩაჩავა. დეპეშაში აღნიშნულია, რომ თბილისის დინამოელებმა II ადგილი დაიკავეს.




უცხოეთის პრესა საქართველოს სპორტსმენებზე

# HINKALI U TEDIASZWILI

LUKASZ JEDLEWSKI
KORESPONDENCJA Z ZSRR

ამ რამდენიმე ხნის წინ საქართველოში სტუმრად იყვნენ პოლონური ჟურნალ „სპორტოვეცის" პასუხისმგებელი მდივანი ლ. იედლევსკი და ფოტორეპორტიორი ტ. პრაუმოვსკი. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მათ თავიანთ ჟურნალში გამოაქვეყნეს წერილი სათაურით „ხინკალი თედიაშვილთან". გთავაზობთ ნაწყვეტებს ამ წერილიდან:

„...მივემგზავრებით საგარეჯოსკენ მსოფლიოს და ოლიმპიურ ჩემპიონ ლევან თედიაშვილთან და მის საცოლე ნანა მჭედლიშვილთან ერთად. მანქანაშივე დავმეგობრდით. ვსაუბრობთ გულახდილად და ძალდაუტანებლად.

ლევანი: იცით, რომ ჩემი გზა მიუნჰენისკენ თქვენს ქალაქ კოშალინში დაიწყო 5 წლის წინათ? ეს იყო ოლიმპიური იმედების ტურნირი".

„...გზა გორაკებს შორის მიდის. ორივე მხარეს ვენახებია.. ლევანი ყველას ესალმება, იგონებს თავის ბავშვობას. გამოჩნდა საგარეჯოც. შევედით სახლში. სულ მალე გემრიელი კერძების სუნი გვეცა. ლევანი, როგორც ნამდვილ ვაჟკაცს შეეფერება, ღვინოს იღებს ქვევრიდან. იშლება ზღაპრული სუფრა. ყველაფერია, ხინკალიც კი...".

„...საქართველოში ჭიდაობა ფეხბურთის შემდეგ მეორე ადგილზეა. საკმარისია გადავხედოთ სსრ კავშირის მოჭიდავეთა ჩემპიონატების შედეგებს, სადაც „შვილზე" და „ძეზე" დამთავრებულ უამრავ გვარს ნახავთ. ქართველმა მოჭიდავეებმა ბევრი სახელოვანი გამარჯვება მოუტანეს საბჭოთა სპორტს საერთაშორისო სარბიელზე. საიდან მოდის ეს?

— საქართველოში ყველა სოფელი ბიჭი ჭიდაობს, ჭიდაობით დიდი დაინტერესება კი დიდ კონკურენციას ბადებს. ამის შემდეგ საკმარისია ერთი ნაბიჯის გადადგმა ფართო სარბიელზე გასასვლელად. ოლიმპიურ სტარტებზე ოცნების ასასრულებლად საჭირო იყო გზა გამეკვლია უამრავ მეტოქეს შორის, დამეჯაბნა ისინი. საკავშირო მასშტაბით ჩემთვის ყველაზე საშიში მეტოქე იყო შახმურადოვი. ღრმად მწამს: ვინც კავშირში პირველია, მას ოლიმპიური მედლის იმედიც უნდა ჰქონდეს.

— როგორ ემზადებოდით მიუნჰენისთვის?

— ილეთებს ისე ვხვეწდი, რომ კონკრეტულ მეტოქეზე არ ვფიქრობდი. მიუნჰენში სამი შეხვედრა წმინდად მოვიგე, ამდენივე ქულებით. მე ნამდვილი ბრძოლის მომხრე ვარ: შეტევა, შეტევა, შეტევა! დიდად ვაფასებ აგრესიულ სტილს.

— ვინ იყო თქვენთვის ყველაზე ძნელი მეტოქე მიუნჰენში?

— იაპონელი სასაკი, შტოტმაისტერი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, რუმინელი იორგი, ამერიკელი პეტერსენი. საერთოდ, ამერიკელთა წარმატება მიუნჰენში პირადად ჩემთვის მოულოდნელობა არ იყო, როგორც ამას ბევრი სპეციალისტი თვლის. ამერიკელები უკვე რამდენიმე წელია, რაც ფირზე აღბეჭდავენ ჩვენს ყოველ მოძრაობასა და ილეთს. მსუბუქ წონაში გამარჯვებული ამერიკელი გეიბლი ჭიდაობს თითქმის... როგორც ქართველი. იგი თბილისშიც გამოდიოდა და მახსოვს კინოაპარატი ხელიდან არ გაუშვია.

— ვინ არის თქვენი იდეალი ჭიდაობაში?

— საუკეთესო მოჭიდავე, რომელიც კი მე მინახავს, ეს გურამ საღარაძე გახლავთ, მსოფლიო ჩემპიონი. მისი მაგალითი ჩემთვის მუდამ პირველი პირობაა.

— როგორი მეტოქეები გიყვართ?

— ძლიერები. მათ ჩვენი ოჯახის წევრებად ვთვლით. თუ მეტოქე დამამარცხებს, ასჯერ უფრო მეტად ვაფასებ. ასეთი სპორტსმენისადმი პატივისცემა სიძულვილის ნაცვლად — აი, ჩემი და საერთოდ ქართველი მოჭიდავის ბრძოლის ფილოსოფია".

„...ვემშვიდობებით საგარეჯოს და გზას ვაგრძელებთ. გზადაგზა გვხვდება გურჯაანი, მუკუზანი, კარდანახი, ტიბაანი, წინანდალი... ეს სახელები კი ჩვენთვის კარგად ნაცნობია განთქმული ქართული ღვინოების წყალობით...".




რედაქციისგან: დღეს სახელგანთქმულ ფალავანს ლევან თედიაშვილს ქორწილი აქვს საგარეჯოში. გულითადად ვუსურვებთ ლევანსა და მის მომავალ მეუღლეს — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტ ნანა მჭედლიშვილს მყარი, მეგობრული ოჯახის შექმნას და გაბედნიერების დღეს ვულოცავთ. მათ სწორედ ამ სურათზე ხედავთ, რომელიც ტ. პრაუმოვსკიმ გადაიღო საგარეჯოში.

## წუთიერი დუმილი შეჯიბრების წინ

... 23 ნოემბერს მოსკოვში, ცსკა-ს ძალოსნობის სასახლის ჭერქვეშ ერთ მომენტში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა: სსრ კავშირის მფრინავი-კოსმონავტის ვ. ვოლკოვის I საერთაშორისო მემორიალის დაწყების წინ ასობით მაყურებელმა და ტურნირის მონაწილეებმა — სსრ კავშირის, ბულგარეთისა და პოლონეთის აკრობატებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს სამშობლოს მამაცი შვილის, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირის, სსრ კავშირის აკრობატიკის ფედერაციის საპატიო თავმჯდომარის ხსოვნას.

შეჯიბრების ამაღელვებელი, საზეიმო გახსნის შემდეგ სპორტსმენებმა პირველი ჯილდოები გაითამაშეს. შერეულ წყვილთა ასპარეზობაში ბრწყინვალე კომპოზიციით გამოვიდნენ ორიოლელი სპარტაკელები გ. ფრიდმანი და ა. სტეფანოვი. I ადგილიც მათ დარჩათ — 28,7 ქულა. II ადგილზე გავიდნენ სვერდლოვსკელები გ. ვასიანინა და ი. საველიევი (28,55), ხოლო III — ლვოველები გ. მარკოვა და ვ. ბრონსკი (27,5).

წყვილთა ვარჯიშში გაიმარჯვეს სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონებმა, კრასნოდარელებმა ვ. ანანევიჩმა და ა. ლავრენკოვმა. მათ 28,6 ქულა დააგროვეს. აკრობატულ ბილიკზე ყველას აჯობა ქვეყნის 1971 წლის თასის მფლობელმა, გროზნოელმა მ. ოსტროუხოვმა (37,6). უცხოელთაგან ამ სახეობაში საუკეთესონი იყვნენ ბულგარეთის ჩემპიონები, ტყუპი ძმები მ. და ფ. ტოდოროვები.

შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, მფრინავმა-კოსმონავტმა, საბჭოთა კავშირის გმირმა ვ. კუბასოვმა სავდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, ყველა კოსმონავტი გახარებულია, ტურნირს ვოლკოვის სახელი რომ დაერქვაო. ვოლკოვს ძალიან უყვარდა სპორტი. იგი გატაცებით თამაშობდა ფრენბურთს, კალათბურთს, ფეხბურთს... ბავშვებისადმი მიძღვნილ თავის წიგნში იგი წერდა: „არ ვიცი რა ვუპასუხო ნორჩებს, როცა მეკითხებიან — როგორ გავხდე კოსმონავტი, რით დავიწყოო. მე გირჩევდით დაგეწყოთ აკრობატიკით, რომელიც ლონეს, სისხარტესა და გამბედაობას ავითარებს".

◆ **სან-ანტონიო** (ტეხასის შტატი), **23 ნოემბერი.** მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის IV ტურში საბჭოთა დიდოსტატი კარპოვი თეთრებით ეთამაშა კამპოს-ლოპესს. მეტოქის მძაფრ იერიშს მექსიკელმა ოსტატმა ალიოხინის დაცვა დაუპირისპირა, მაგრამ ამაოდ — 23-ე სვლაზე წინააღმდეგობა შეწყვიტა. პორტიშისა (უნგრეთი) და პეტროსიანის მწვავე შეხვედრა 39-ე სვლაზე ზავით დამთავრდა. ასეთივე შედეგით დასრულდა პარტიები: კერესი — ბრაუნი (ავსტრალია), ჰორტი (ჩეხოსლოვაკია)—გლიგორიჩი (იუგოსლავია), მეკინგ (ბრაზილია) — სეიდი (აშშ). ამერიკელმა ბირნმა თანამემამულე სმითი დაამარცხა. პუერტორიკოელი კაპლანის ორთაბრძოლა ლარსენთან დანიელი დიდოსტატის უპირატესობით გადაიდო. დაუმთავრებელი დარჩა ევანსი (აშშ) — სათლზის (კანადა) პარტიაც. ტურნირის ლიდერს კარპოვს 3,5 ქულა აქვს. მოწინავე ჯგუფში არიან აგრეთვე: კერესი, ლარსენი — 2,5-2,5 ქულა და თითო გადადებული პარტია, გლიგორიჩი, პეტროსიანი — 2,5-2,5 ქულა..




## [illegible]-72

● **ნორჩეპინგი** (შვეცია), 23 ნოემბერი. ევროპული ლიგის პირველობის ახალი გათამაშების თავის პირველსავე მატჩში მაგიდის ჩოგბურთის საბჭოთა ოსტატებმა აქ მარცხის სიმწარე იწვნიეს შვეციის ნაკრებისგან — 2:5. სტუმართა გუნდს ქულები შესძინეს ევროპის ჩემპიონმა, მოსკოველმა ზ. რუდნოვამ (დაამარცხა ბ. რადბერგი — 17:21, 21:11, 21:19) და რუდნოვა — ს. გომოზკოვის (მოსკოვი) ჩემპიონურმა დუეტმა (ამ წყვილმა სძლია ლენა ანდერსონსა და მსოფლიო და ევროპის ჩემპიონს ს. ბენგტსონს — 21:14, 21:15). ბრძოლა დანარჩენ შეხვედრებშიც (ერთეულთა თანრიგი და ვაჟთა წყვილები) უაღრესად მწვავე იყო. ბენგტსონმა და კონტინენტის ექს-ჩემპიონმა ჩ. იოჰანსონმა პირად შეხვედრებში მინიმალური სხვაობით (2:1) აჯობეს გომოზკოვსა და ლვოველ ა. სტროკატოვს. მასპინძელთა დუეტმა ასეთივე ანგარიშით დაამარცხა გომოზკოვ — ს. სარხოიანის (ბათუმი) წყვილი. შეჯიბრებას ლიდერობს გფრ-ის ნაკრები, რომელმაც რამდენიმე დღის წინ ანგარიშით 5:2 მოუგო ინგლისის გუნდს. გერმანელებმა პირველ მატჩშიც წარმატებას მიაღწიეს.

● **კალინინგრადი, 23 ნოემბერი.** თბომავალ „ვოლგო-ბალტ-121"-ის გუნდმა „ბალტიის თასი" მოიპოვა. ეს პრიზი ყოველწლიურად ეძლევა იმ გემის ეკიპაჟს, რომელიც მეზღვაურთა კომპლექსურ შეჯიბრებაში აჯობებს ყველას, ეს შეჯიბრება კი ასეთი დევიზით ტარდება: „ზღვები ხალხებს აერთიანებენ". წლეულს „ბალტიის თასს" 27 ევროპული ქვეყნის 300 გემის სპორტსმენები ეცილებოდნენ ერთმანეთს.

## საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები

სსრ კავშირის ჩემპიონატი დამთავრდა, მაგრამ არდადეგები ყველა გუნდს როდი დაუდგა: ისინი საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებს გამართავენ. 1 დეკემბერს ალმა-ათის „ყაირათი" ნიგერიაში გაფრინდება, 4 დეკემბერს „დნეპრი" სომალისა და ეთიოპიის გზას დაადგება, 14 დეკემბერს მინსკის „დინამო" გვინიასა და უგანდაში გაემგზავრება, ხოლო 23 დეკემბერს „ზარია" — პაკისტანში.

## საბჭოთა გუნდები უცხოეთში

**თეირანი, 23 ნოემბერი.** ცსკა-მ ირანში თავისი ტურნე წარმატებით დააგვირგვინა: ბოლო ამხანაგურ მატჩში ანგარიშით 3:0 სძლია მასპინძელი ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალთა გუნდს.

**ჰავანა, 23 ნოემბერი.** ლვოვის „კარპატიმ" ამხანაგურ მატჩში ანგარიშით 2:0 დაამარცხა კუბის ახალგაზრდული ნაკრები. გოლები გაიტანეს კოზინკევიჩმა და კიკოტმა.

ფეხბურთი

# მშენებლობა მიატოვეს

14 წელიწადია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თაოსნობით ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა საბჭოთა კავშირში პირველი — გლდანის ზოგადსაგანმანათლებლო სპორტული პროფილის № 1 სკოლა-ინტერნატი. ამ სასწავლებელში აღიზარდნენ მაღალი კლასის სპორტსმენები: სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოს ექსჩემპიონი ველოსპორტში, მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი ო. ფხაკაძე, თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის წევრები ვ. რეხვიაშვილი, შ. ხინჩაგაშვილი, ფ. რეხვიაშვილი, ცნობილი მძლეოსნები გ. გუდაშვილი, ქ. გორძამაშვილი, ჯ. ბაგაური, თ. მდინარაძე, საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის წევრები მ. სალაძე, ი. წიკლაური, თ. ლეჟავა და საქართველოს კიდევ ბევრი ჩემპიონი და რეკორდსმენი, რომლებმაც ფართოდ გაუთქვეს სახელი ჩვენს სპორტს საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე.

1969 წელს სკოლა-ინტერნატის ტერიტორიაზე დაიწყო მძლეოსნური მანეჟის მშენებლობა, რომელიც 1970 წელს უნდა დამთავრებულიყო. საქმე თბილისის მე-14 სამშენებლო ტრესტს (მმართველი გ. კვიჟიძე) დაევალა.

მშენებლობა თავიდანვე გაჭიანურდა. შენობა, რომელიც ორი წლის წინ მზად უნდა ყოფილიყო, დაუმთავრებელია. დასაგებია რეზინა-ბიტუმის ბილიკები, გასაკეთებელია გათბობისა და ელექტროგაყვანილობები, შესასრულებელია სამღებრო სამუშაოები.

სპორტული დარბაზის მშენებლობა თბილისის მე-18 სამშენებლო ტრესტმა (მმართველი გ. ნარიმანიძე) დაიწყო. მშენებლებმა სასწავლო კორპუსის ერთ მხარეს სასმელი წყალი და კანალიზაცია გადაკეტეს და დღემდე ასე დატოვეს.

გლდანის № 1 ზოგადსაგანმანათლებლო სპორტული სკოლა-ინტერნატის უფროსკლასელები, რომელთა შორის არიან სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები გუნდების წევრები, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ჩემპიონები, იმედგაცრუებული ჩაუვლიან ხოლმე გვერდს ამ მიტოვებულ მშენებლობებს. ცნობისმოყვარე ... შემთხვევით ... ადამიანი მშენებელი ჰგონიათ და ეკითხებიან: „ძია, მშენებლობის დასამთავრებლად ხომ არ მობრძანდით"?. ეს შეკითხვა კი — „პატივცემულო მასწავლებელო, როდის დამთავრდება ჩვენი მანეჟისა და დარბაზის მშენებლობა?" — ყოველდღე გაისმის.

800 ნორჩი სპორტსმენის ამ კითხვებზე იქნებ თბილისის მე-14 და მე-18 სამშენებლო ტრესტების მმართველებმა გაგვცენ პასუხი?

ი. იუნაევი.

---

კოტე მარჯანიშვილის დაბადების 100 წლისთავის გამო

# ნამდვილად უყვარდა

როცა ჩემს წიგნს — „ჭადრაკს გამიჯნურებულნი" (დაისტამბა 1967 წელს) — გამოსაცემად ვამზადებდი, ძალიან მსურდა, რომ სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან ერთად ჭადრაკის მიჯნურთა შორის დიდი კოტე მარჯანიშვილიც ყოფილიყო.

ერთხელ საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა პიერ კობახიძემ მიამბო თავისი მასწავლებლის, დიდი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის ჭადრაკით გატაცების შესახებ.

— მე მითამაშია კოტესთან რეპეტიციების შემდეგ, — მიამბობდა პიერი, — დიდი ძალით არ გამოირჩეოდა, მაგრამ კარგად ერკვეოდა კომბინაციებში. უყვარდა მოხდენილი შეწირვა.

მხოლოდ ეს ცნობა, რა თქმა უნდა, ვერ დამაკმაყოფილებდა. მაშინ მოსკოვში მივწერე დიდი რეჟისორის ვაჟს — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, მათემატიკის დოქტორს, პროფესორ კონსტანტინე მარჯანიშვილს და დახმარება ვთხოვე. პასუხმა არ დააყოვნა.

„მამაჩემი ჭადრაკის დიდი მოყვარული იყო, — მწერდა კოტეს ვაჟი. — ეს თამაში 1915 წელს უსწავლია პირველი მსოფლიო ომის ფრონტზე, ნესტიან სანგრებში".

როგორც ცნობილია, დიდი ხელოვანი მოხალისედ წავიდა არმიაში — მეთაურობდა სწრაფმოქმედი სანიტრების რაზმს. გააფთრებული ბრძოლების დროს თვითონ გამოჰყავდა დაჭრილები მოწინავე ხაზიდან. გამბედაობისა და დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისთვის სარდლობას იგი გიორგის ჯვრით დაუჯილდოებია.

კოტე ჭადრაკს ფრონტზე, რა თქმა უნდა, იშვიათად თამაშობდა, მერეც, როცა ავად შეიქნა და ზურგში დააბრუნეს, მეტოქეები მუდამ როდი ჰყავდა.

დიდ რეჟისორს ძალიან აინტერესებდა საჭადრაკო ცხოვრება.

— ეს იყო 1927 წელს, როცა შორეულ ბუენოს-აირესში ალიოხინი კაპაბლანკას მსოფლიო ჩემპიონობას ეცილებოდა, — გაიხსენა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვასო გოძიაშვილმა. — მატჩმა ხომ თითქმის სამ თვეს გასტანა და ყველანი საჭადრაკო ციებ-ცხელებამ აგვიტანა. მატჩი კოტესაც აღელვებდა. რეპეტიციების შემდეგ ვსაუბრობდით ამ ორთაბრძოლის ბედზე.

ერთხელ გავუბედე: „ბატონო კოტე, ხომ არ ვითამაშოთ?". „დიდი ხანია არ მითამაშია, ვსინჯოთ", მიპასუხა მან. დიდი ბრძოლა გვქონდა, გულშემატკივრები ორივეს გვყავდა. კოტე მარჯანიშვილს ნამდვილად უყვარდა ჭადრაკი, ოღონდ მისთვის ვერ იცლიდა. თამაშს ბევრი დრო სჭირდება, თუ არ გინდა თავი შეირცხვინო. კოტე კი ამაყი იყო.

თ. გიორგაძე.

---

# არასპეციალისტებს აბარიათ

გაიმართა განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ზესტაფონის რაიონული კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მოისმინა რაიონის სკოლებში და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების საკითხი. მოხსენებით გამოვიდა ზავშეთა სპორტსკოლის დირექტორი ა. კვესიტაძე.

მომხსენებელმა და სიტყვით გამოსულებმა: საქართველოს ალკკ ზესტაფონის რაიკომის მდივანმა მ. ქავთარაძემ, ბოსლევის საშუალო სკოლის დირექტორმა დ. ბედიანიძემ, ქალაქის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორმა ზ. კვინიკაძემ, ცხრაწყაროს საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა შ. განუგრავამ, განათლების მუშაკთა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარემ ა. ლომთაძემ და სხვებმა მკაცრად გააკრიტიკეს რაიონის სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებების ერთ ნაწილში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დაბალი დონე. ითქვა, რომ დღევანდელ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს რაიონის სპორტული სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.. სპორტსკოლის პედსაბჭო სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობს რაიონის სკოლებს, ფიზკულტურის მასწავლებელთა მუშაობას, ზოგიერთ სკოლაში ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადება ფორმალურად ტარდება.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი ცუდად მუშაობს თეორიული ცოდნის დონის ამაღლებისთვის, დაწყებითს სკოლებში ფიზაღზრდა არასპეციალისტებს აბარიათ, რის გამოც ზოგჯერ ფიზკულტურის გაკვეთილებს დანიშნულებისამებრ ვერ იყენებენ. რაიონის მხოლოდ შვიდ სკოლას აქვს სპორტდარბაზი და იქაც ინვენტარი აკლიათ. ბევრ სკოლაში პედსაბჭოს სხდომებზე იშვიათად ისმენენ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საკითხებს, იშვიათად ეწყობა შიდასასკოლო, საქალაქო და რაიონული შეჯიბრებები.

პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება.

ა. განუგრავა.
(ჩვენი კორ.).

ზესტაფონი.

---

# მიმზიდველად, საინტერესოდ!

მიმზიდველი და საინტერესო იყო სპორტული ზეიმი, რომელიც ახლახან თბილისის მე-80 რუსულ საშუალო სკოლაში მოეწყო. მოსწავლეთა დღესასწაული სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა და ჩატარდა დევიზით: „მშდ კომპლექსი გვეხმარება სწავლასა და შრომაში".

სკოლის შესასვლელში გამოკრული იყო პლაკატები: „ოლიმპიური თამაშები არა მარტო ოლიმპიელებისთვისაა", „მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშანი ჯანმრთელობისა და ფიზიკური სრულყოფის სიმბოლოა".

სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა მშდ ახალ კომპლექსს. როგორც ფიზაღზრდის მასწავლებელმა ვ. ბორიაკმა გვითხრა, მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა ჩაბმულია მშდ ნორმატივების მომზადება-ჩაბარებაში. დღესასწაულის გმირი იყო X კლასის მოსწავლე ვ. აგამელიანი, რომელიც კარგად გამოვიდა ინდურ ჭიდაობაში და საუკეთესო შედეგი აჩვენა შამხანის დამლააწყობაში. აკრობატიკაში თავი გამოიჩინა ამავე სკოლის მეათეკლასელმა, სპორტის ოსტატმა ს. მარქარიანმა.

მე-80 საშუალო სკოლას დიდი სპორტული ტრადიციები აქვს. მან ბევრი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სპორტის ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი აღზარდა. თავის დროზე ეს სკოლა დაამთავრეს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა მძლეოსნობაში ი. დელა-როსამ, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ჭიდაობაში ნ. ხუციშვილმა, საქართველოს ცამეტგზის ჩემპიონმა ბადმინტონში ჰ. ბორიაკმა, საქართველოს ჩემპიონმა კრივში ვ. მილიუშკოვმა...

ყველაზე პოპულარულია ბადმინტონი. საქართველოს ყველა ჩემპიონი ბადმინტონში ამ სკოლის აღზრდილია.

ლ. აბაშმაძე.

---

# ახალ კუზში

„კოლმეურნის" რაისაბჭოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიუძღვნეს მშდ კომპლექსის ნორმატივების მასობრივი ჩაბარება. ღრმაღელის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის, ლანჩხუთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის და ჩაის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურის კოლექტივებში დროულად შეიქმნა ნორმატივების მიმღები კომისიები. კომპლექსის ჩაბარება მოეწყო რბენაში, ტყორცნაში, ხტომაში, ტყვიის სროლაში, ცურვასა და თეორიაში.

ჩამბარებლებმა განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიჩინეს ცურვისადმი. შეჯიბრება მიმდინარეობდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ახლახან მწყობრში ჩამდგარ საცურაო აუზში. ამჟამად სასწავლებლის კონტინგენტის 75 პროცენტი ეუფლება სპორტის ამ სახეობას. შედეგებიც კარგი აქვთ. III საფეხურის („ძალა და ვაჟკაცობა") ოქროს სამკერდე ნიშანზე მოთხოვნები ჩააბარეს გოგონებმა თ. ჭანტურიშვილმა, ნ. ქიმუცაძემ, ნ. შაფათავამ, ჭაბუკებმა რ. მჭედლიძემ, ტ. ჭაფოძემ, მ. ხელაძემ.

ი. ებრალიძე.
(ჩვენი კორ.).

ლანჩხუთი.

---

# საჭიდაო ხალიჩაზე

„სპარტაკის" სპორტულ დარბაზში გაიმართა აფხაზეთის საუწყებო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ტურნირში მონაწილეობდნენ „განთიადის", „დინამოს", „კოლმეურნის", საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობისა და გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტების ნაკრები კოლექტივები.

გუნდურ ჩათვლაში დინამოელებმა იმარჯვეს. II ადგილზეა „განთიადი", III — „კოლმეურნე".

პირად ჩათვლაში წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: პ. მიქაბერიძე („დინამო"), დ. ქაშიბაძე („განთიადი"), ო. პილოსიანი („დინამო"), ნ. ღვინჯილია (სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი), ვ. ავიძბა (პედინსტიტუტი), გ. ხარებავა („კოლმეურნე"), ს. გიორგაძე („დინამო"), ი. ბუბაშვილი (სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი), რ. ხუტაბა (პედინსტიტუტი), დ. ბალათელია („დინამო"). აღსანიშნავია, რომ ჩემპიონთაგან ხუთნი სპორტის ოსტატ შ. კიკაბიძის მოწაფეები არიან.

ვ. იაშვილი.
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

* * *

სურათზე: ასპარეზობის მომენტი.

ავტორის ფოტო.



---

# უპირატესობა—ნახევარი თვალი

დეკემბრის პირველ რიცხვებში აზერბაიჯანის დედაქალაქი ველოკროსში საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებს უმასპინძლებს. ეს შეჯიბრება, ფაქტიურად, ველოსიპედისტთა ბოლო ასპარეზობა იქნება წლევანდელ სეზონში და ამიტომაც ერთგვარად შეაჯამებს წლის განმავლობაში გაწეულ მუშაობას. საქართველოს ველოსიპედისტებს არაფერი აქვთ სატრაბახო არც გზატკეცილზე და არც კროსში, მაგრამ ამ შეჯიბრებას იმედის თვალით შეჰყურებენ და ეს გარემოება ჩვენც საბაბს გვაძლევს ოპტიმისტურად ვიყოთ განწყობილი.

საკავშირო ჩემპიონატის წინ ძალთა გამოცდის მიზნით გასულ შაბათს თბილისის ზღვის მიდამოებში ველოკროსმენთა რესპუბლიკური ჩემპიონატი ჩატარდა. შეჯიბრების მიზანი იყო ნაკრები გუნდის წევრთა შერჩევა ბაქოს სტარტისთვის. ასპარეზობის დაწყებამდე ვესაუბრეთ საქართველოს გუნდის უფროს მწვრთნელებს ი. გოცირიძესა და ნ. ტრეტიაკს. გვაინტერესებდა ნათი აზრი ტურნირზე, მომავალ საკავშირო ჩემპიონატზე და ნაკრების სავარაუდო კანდიდატებზე.

სამი კანდიდატის ვინაობა ეჭვს არ იწვევდა. ესენი იყვნენ სპარტაკელი ი. რთველიაშვილი, ბურევესტნიკელი ა. ხამუტოვი და სოხუმის „კოლმეურნის" წარმომადგენელი ნ. დემჩუკი. ამ ტრიოს გასული შეჯიბრებების შედეგების მიხედვით ფაქტიურად უზრუნველყოფილი ჰქონდა ადგილი გუნდში. სამი დანარჩენი მონაწილე ჩემპიონატს უნდა შეერჩია, თუმცა მწვრთნელებს მათზეც ჰქონდათ გარკვეული აზრი შექმნილი. ავიღოთ თუნდაც დინამოელი ა. ცხოვრებაძე. ამ 17 წლის ნიჭიერმა ჭაბუკმა ჯერ კიდევ სოხუმში გამოიჩინა თავი საგზატკეცილო ველორბოლაში რესპუბლიკური ჩემპიონატის დღეებში. მან III საპრიზო ადგილი დაიკავა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. მწვრთნელებმა ცხოვრებაძეს სოხუმშივე დაადგეს თვალი, მაგრამ დარწმუნებული არ იყვნენ თუ კროსშიც ივარგებდა. იყო კიდევ ერთი სპარტაკელი — ბ. კილასონია, რომელიც პერსპექტიულ ველოსიპედისტად მიაჩნიათ. კილასონიაც ახალგაზრდაა, გამოუცდელი, და როგორ გამოიჩენდა თავს კროსის ურთულეს ტრასაზე, არავინ იცოდა. ერთი სიტყვით, მწვრთნელებს ბევრი რამ ჰქონდათ გადასაწყვეტი და, რა თქმა უნდა, ინტერესით ადევნებდნენ თვალს ბრძოლას.

მერე კი, როცა ჩემპიონატი დამთავრდა და ხელისგულივით გადაიშალა სპორტსმენთა სუსტი და ძლიერი მხარეები, შედგა ნაკრები, რომელშიც მოხვდა ყველა ზემოჩამოთვლილი ველოსიპედისტი და კიდევ რამდენიმე ახალბედა. ნაკრებმა საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო: ა. ცხოვრებაძე, ი. რთველიაშვილი, ნ. დემჩუკი, ბ. კილასონია, ა. ხამუტოვი, ვ. ვოზნიუკი (სოხუმის „კოლმეურნე"), ვ. ბოგდანოვი (თბილისის ასკ). ამჟამად გუნდი წვრთნას გადის თბილისში, შეჯიბრების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე კი ბაქოში გაემგზავრება, რათა კარგად შეისწავლოს ტრასა.

— რა პერსპექტივა აქვს გუნდს ჩემპიონატში? — ვკითხეთ მწვრთნელებს.

— თუ ბედმა გაგვიღიმა, კარგ ადგილზეც შეგვიძლია ფიქრი.

იღბალს კროსში მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ სახეობაში ბევრი რამ არის დამოკიდებული შემთხვევაზე (ველოსიპედის დაზიანება, ავარია და ა. შ.) და ამიტომ მწვრთნელის პასუხს დავუჯერეთ.

ახლა კი რესპუბლიკური ჩემპიონატის მსვლელობაზე. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის ორი კოლექტივი, აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, რუსთავისა და ზესტაფონის გუნდები. წინასწარ უნდა ვთქვათ: აჭარის წარმომადგენლებმა არასახარბიელო შთაბეჭდილება დატოვეს. ამას განსაკუთრებით იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ წინათ აჭარის ველოსიპედისტები წარმატებით გამოდიოდნენ რესპუბლიკურ ტურნირებში, წარმომადგენლები ჰყავდათ ნაკრებ გუნდებში.

მესტარტის ნიშნის შემდეგ დაწინაურდა ველოსიპედისტთა ტრიო, რომელშიც იყვნენ რთველიაშვილი, ხამუტოვი და დემჩუკი. მეორე წრეზე (26-კილომეტრიანი ტრასა ექვს წრეს შეადგენდა) დაწინაურებულთ ცხოვრებაძე წამოეწია. ამ ოთხეულმა ძირითად ჯგუფს 400 მეტრამდე მოუგო და თითქმის სამ წრეზე შეინარჩუნა ლიდერობა. მერე კი გაუთვალისწინებელი შეფერხებები დაიწყო. ველოსიპედის დაზიანების გამო დაყოვნდა ჯერ ხამუტოვი, მერე ცხოვრებოვი. დარჩა ორი ლიდერი — რთველიაშვილი და დემჩუკი, რომლებიც შეუპოვრად მიიწევდნენ ფინიშისკენ.

ბრძოლის ბედი ბოლო წრეზე გადაწყდა, უფრო სწორად, ზედ ფინიშის ხაზთან. მანამდე კი ლიდერთა დუეტს ისევ შეუერთდა ცხოვრებაძე. ეს თითქმის დაუჯერებელი იყო: სპორტსმენმა ჯერ ველოსიპედი გამოცვალა, მერე ისევ თავის მანქანაზე გადაჯდა და ფინიშის მისადგომებთან ლიდერებს დაეწია.

... ასეთი დაძაბული ბრძოლა ფინიშზე კარგა ხანია არ გვინახავს. რთველიაშვილი და ცხოვრებაძე ერთმანეთის მხარდამხარ მიიწევდნენ წინ საკონტროლო ხაზისკენ. დარჩა 5 მეტრი, 3, 2, 1. და ზედ ფინიშზე ცხოვრებაძემ ნახევარი თვლით გაუსწრო მეტოქეს. ადგილები საბოლოოდ ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: 1. ცხოვრებაძე, 2. რთველიაშვილი, 3. დემჩუკი.

გუნდური გამარჯვება თბილისის პირველ ნაკრებს დარჩა. II ადგილზე გავიდნენ აფხაზეთის, III — თბილისის მეორე გუნდის წარმომადგენლები.

ნ. ახვლედიანი.

---

## გორი

ფეხბურთელთა რაიონულ შეჯიბრებაში 24 გუნდი მონაწილეობდა. გადამწყვეტ მატჩებში იმარჯვა სასათბურო კომბინატის კოლექტივმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ რაიკავშირისა და სოფელ ტინისხიდის ფეხბურთელები.

ე. კოშკაძე,
ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი—72

სსრ კავშირის პირველობა

## კავჩინი, ბოლოჭი

კიევის „დინამოსა“ და ვოროშილოვგრადის „ზარიას“ 22 ნოემბრის შეხვედრით დამთავრდა 1972 წლის საკავშირო ჩემპიონატი. ამ მატჩში მასპინძლებს — კიეველებს ფრეც ჰყოფნიდათ ვერცხლის მედლების მოსაპოვებლად, ვინაიდან თბილისის „დინამოსთან“ ქულათა თანაბრობისას ბურთების უკეთესი ბალანსის წყალობით უპირატესობას ლებულობდნენ. ასეც მოხდა: მეტოქეებმა ფრედ ითამაშეს — 3:3.

ანგარიში 22-ე წუთზე გახსნა კიეველმა ბლოხინმა, რასაც ცოტა ხანში კუკსოვის საპასუხო გოლი მოჰყვა — 1:1.

ტაიმის ბოლოს ვოროშილოვგრადელებს მიეცათ ანგარიშის გაზრდის საშუალება (მასპინძელთა კარში პენალტი დაინიშნა), მაგრამ ჟურავლიოვის მიერ სუსტად დარტყმული ბურთი იოლად მოიგერია რუდაკოვმა.

შესვენების შემდეგ კიეველმა კოლოტოვმა ზედიზედ ორი ბურთი გაგზავნა ჩემპიონის კარში, მაგრამ სემიონოვმა და ონიშჩენკომ შეძლეს თანაფარდობის აღდგენა.

## გათამაშების საბოლოო ცხრილი

უმაღლესი ლიგა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია“ | 30 | 15 | 10 | 5 | 52—30 | 40 |
| „დინამო“ (კიევი) | 30 | 12 | 11 | 7 | 52—38 | 35 |
| „დინამო“ (თბილისი) | 30 | 12 | 11 | 7 | 41—34 | 35 |
| „არარატი“ | 30 | 12 | 10 | 8 | 38—29 | 34 |
| ცსკა | 30 | 15 | 4 | 11 | 37—33 | 34 |
| „დნეპრი“ | 30 | 12 | 10 | 8 | 37—37 | 34 |
| „ზენიტი“ | 30 | 11 | 11 | 8 | 44—30 | 33 |
| „დინამო“ (მინსკი) | 30 | 10 | 11 | 9 | 27—28 | 31 |
| „ტორპედო“ | 30 | 11 | 9 | 10 | 31—33 | 31 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 30 | 12 | 6 | 12 | 39—35 | 30 |
| „სპარტაკი“ | 30 | 8 | 10 | 12 | 29—30 | 26 |
| ასკ (დონის როსტოვი) | 30 | 8 | 10 | 12 | 31—35 | 26 |
| „შაიტარი“ | 30 | 6 | 14 | 10 | 23—27 | 26 |
| „კარპატი“ | 30 | 8 | 8 | 14 | 27—43 | 24 |
| „ლოკომოტივი“ | 30 | 6 | 9 | 15 | 29—48 | 21 |
| „ნეფთჩი“ | 30 | 6 | 8 | 16 | 28—55 | 20 |



# თასი „მერცხალმა“ მოიგო

### პრიზი ვადამდეა მოპოვებული

გაიმართა შ. შავგულიძის სახელობის პრიზის მორიგი ტურის შეხვედრები.

დიდ წარმატებას მიაღწია მახარაძის „მერცხალმა“ (გუნდის უფროსი მ. გორდელაძე, უფროსი მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ა. ნორაკიძე, მწვრთნელი ბ. ტაბიძე). მახარაძელმა ფეხბურთელებმა რუსთავში ანგარიშით 2:0 დაამარცხეს ადგილობრივი „მეტალურგი“ და I ადგილს მათ ვეღარავინ შეეცილება. „მერცხლის“ ეს წარმატება შემთხვევითი არაა: ამ კოლექტივმა II ლიგის III ზონის საკავშირო გათამაშებაში წლეულს საუკეთესო შედეგს მიაღწია ჩვენი რესპუბლიკის გუნდებს შორის.

კვლავ წარმატებით ითამაშეს სოხუმის დინამოელებმა. მათ შინ ანგარიშით 3:1 დაამარცხეს გორის „დილა“.

ლანჩხუთის „გურიამ“ თავის მინდორზე მოუგო ფოთის „კოლხეთს“ — 1:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მერცხალი“ | 12 | 5 | 6 | 1 | 11—7 | 16 |
| „მეტალურგი“ | 11 | 4 | 5 | 2 | 14—13 | 13 |
| „გურია“ | 12 | 5 | 3 | 4 | 15—19 | 13 |
| „დინ.“ (ბათ.) | 12 | 4 | 4 | 4 | 13—10 | 12 |
| „დინ.“ (სოხ.) | 12 | 3 | 4 | 5 | 14—10 | 10 |
| „დილა“ | 11 | 3 | 4 | 4 | 10—11 | 10 |
| „კოლხეთი“ | 12 | 2 | 4 | 6 | 13—20 | 8 |



სურათებზე: მახარაძის „მერცხალი“. მეორე რიგში მარჯვნივ — გუნდის უფროსი მ. გორდელაძე; გუნდის უფროსი მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ა. ნორაკიძე.

რ. გაბრიჭიძის ფოტოები.

# პრიზები

სსრ კავშირის 1972 წლის საფეხბურთო ჩემპიონატი დამთავრდა. უმაღლესი ლიგის 16 მონაწილე გუნდი საბოლოოდ განლაგდა გათამაშების ცხრილში. გათამაშდა, აგრეთვე, დიდი ფეხბურთის სპეციალური პრიზები, რომლებიც გუნდებსა და ცალკეულ ფეხბურთელებს გადაეცემათ საუკეთესო მაჩვენებლებისთვის.

### საუკეთესო ბომბარდირი

ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერია კიევის „დინამოს“ ახალგაზრდა თავდამსხმელი ო. ბლოხინი, რომელმაც განვლილი ჩემპიონატის მატჩებში 14 გოლი გაიტანა. ო. ბლოხინს გადაეცემა გაზეთ „ტრუდის“ ტრადიციული პრიზი.

### ფედოტოვის სახელობისა

გამოჩენილი საბჭოთა ფეხბურთელის გ. ფედოტოვის პრიზი 1958 წლიდან მოყოლებული გადაეცემა გუნდს, რომელიც ყველაზე მეტ გოლს გაიტანს ჩემპიონატის მატჩებში. წლეულს ვოროშილოვგრადის „ზარიას“ და კიევის „დინამოს“ ფეხბურთელებმა 52-52 ბურთი გაიტანეს მეტოქეთა კარში, მაგრამ პრიზი გადაეცემათ დინამოელებს, რომლებმაც უკეთეს შედეგიანობას მიაღწიეს მეტოქეთა მინდვრებზე.

### საუკეთესო დუბლიორებს

საუკეთესო სათადარიგო შემადგენლობისთვის სსრ კავშირის „სპორტკომიტეტის მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი ყველაზე „ასაკოვანია“: მისი გათამაშება 1946 წლიდან ტარდება.

კიევის „დინამოს“ დუბლიორებმა ყველაზე კარგ შედეგს მიაღწიეს და მოიპოვეს კიდეც ეს ჯილდო.

### აგრესიულ სტუმარს

უკრაინის ახალგაზრდულ გაზეთ „კომსომოლსკე ზნამეს“ დაწესებული აქვს პრიზი: იგი გადაეცემა გუნდს, რომელიც ყველაზე მეტ ქულას აიღებს მეტოქეთა მინდვრებზე.

პრიზი მოიპოვეს „არარატის“ ფეხბურთელებმა: ერევნელებმა სტუმრად ნათამაშევ 15 მატჩში 16 ქულა აიღეს.

### გამარჯვებისკენ სწრაფვისთვის

მოიგო რაც შეიძლება მეტი მატჩი, სადაც მეტოქე იყო დაწინაურებული, — ასეთია გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ პრიზის დებულება.

სამ გუნდს — დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“, კიევის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტს“ 3-3 ასეთი გამარჯვება აქვთ მოპოვებული. მათ შორის უპირატესობა მიენიჭა უმაღლესი ლიგის დებიუტანტს „დნეპრს“ იმის გამო, რომ მან ეს გამარჯვებები მოიპოვა გუნდებთან, რომლებიც გათამაშების ცხრილში უფრო მაღლა არიან, ვიდრე კიეველთა და ლენინგრადელთა მეტოქეები.

### პროგრესის თასი

კიევის „რაბოჩაია გაზეტას“ რედაქციამ დააწესა პრიზი უმაღლესი და I ლიგების გუნდებისთვის, რომლებიც ყველაზე თვალსაჩინო აღმავლობას მიაღწევენ გათამაშებაში წინა სეზონთან შედარებით.

წლეულს ეს პრიზი ვოროშილოვგრადის „ზარიამ“ მოიპოვა.

### ორი გუნდის ჯამში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციას დაწესებული აქვს პრიზი, რომელიც გადაეცემა კლუბს ძირითად და სათადარიგო შემადგენლობათა მიერ დაგროვილი მეტი ქულისთვის.

„ზარიამ“ საკლუბო ჩათვლაში 77 ქულა დააგროვა და პრიზის მფლობელიც გახდა.

### დიდი ანგარიშის პრიზი

ყოველკვირეულ დამატება „ფუტბოლ-ჰოკეის“ 1961 წლიდან დაწესებული აქვს პრიზი გუნდისთვის, რომელიც ყველაზე მეტ მატჩს მოიგებს დიდი ანგარიშით (3 და მეტი ბურთის სხვაობით).

სსრ კავშირის ახალმა ჩემპიონმა „ზარიამ“ ყველაზე მეტი ასეთი მატჩი (5) მოიგო და პრიზი მოიპოვა.

### საუკეთესო მეკარეს

ჟურნალ „ოგონიოკის“ სპეციალური პრიზი სეზონის საუკეთესო მეკარისთვის კიევის დინამოელმა ე. რუდაკოვმა დაიმსახურა. აღსანიშნავია, რომ რუდაკოვი ბოლო ოთხი წლის მანძილზე უკვე მესამედ ღებულობს ამ საპატიო პრიზს.

### ალმის ღირსება

ყაზახეთის ახალგაზრდული გაზეთი „ლენინსკაია სმენა“ სპეციალური პრიზით აჯილდოებს გუნდს, რომლის მოთამაშეები ყველაზე მეტჯერ მონაწილეობდნენ სსრ კავშირის პირველ ნაკრებში.

ეს პრიზი კიევის „დინამომ“ მოიპოვა.

# უეფა-ს თასზე

29 ნოემბერს ერევნის „რაზდანის“ სტადიონზე შედგება უეფა-ს თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური მატჩი ადგილობრივ „არარატსა“ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „კაიზერსლაუტერნს“ შორის. ამ შეხვედრის ტელეტრანსლაციას საკავშირო ტელევიზია აწყობს 22 საათსა და 30 წუთიდან თბილისის დროით.

ამ გათამაშების მერვედფინალში სხვა მონაწილენი ასე დაწყვილდნენ:

„კიოლნი“ (გფრ) — „ბორუსია“ (მენჰენგლადბახი, გფრ)

„ცრვენა ზვეზდა“ (ბელგრადი, იუგოსლავია) — „ტოტენჰემი“ (ლონდონი, ინგლისი)

„ტვენტე“ (ენსხედე, ჰოლანდია) — „ლას-პალმასი“ (ესპანეთი)

„ოფკ-ბელგრადი“ (იუგოსლავია) — „ბეროე“ (ბულგარეთი)

„პორტუ“ (პორტუგალია) — „დინამო“ (დრეზდენი, გდრ)

„ვიტორია“ (სეტუბალი, პორტუგალია) — „ინტერნაციონალე“ (მილანი, იტალია)

„დინამო“ (ბერლინი, გდრ) — „ლივერპული“ (ინგლისი)

## I ლიგის საგზურისთვის

სიმფეროპოლი, 22 ნოემბერი. აქ შედგა პირველი მატჩი ივანო-ფრანკოვსკის „სპარტაკსა“ და რიგის „დაუგავას“ შორის, რომლებიც საგაისოდ I ლიგაში გადასვლისთვის იბრძვიან („სპარტაკი“ უკრაინის ჩემპიონია, ხოლო „დაუგავამ“ III ადგილი დაიკავა სოჭის ექვსთა ტურნირში).

დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს რიგელებმა — 1:0.

მეორე მატჩი შედგება 25 ნოემბერს.

# ცხრა ქალაქში

იმის გამო, რომ დასავლეთ გერმანიის ქალაქებმა კიოლნმა და ნიურნბერგმა უარი თქვეს თავიანთ სტადიონებზე ჩაატარონ 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის თამაშები ჯგუფებში, ფიფა-ს საორგანიზაციო კომიტეტის წევრები დასავლეთ გერმანიაში ჩავიდნენ, რათა ამ ორი ქალაქის ნაცვლად სხვები შეერჩიათ. ერთი წლის წინ ფიფა-ს მიერ მიღებული პირვანდელი გადაწყვეტილება კიოლნმა და ნიურნბერგმა იმიტომ უარყვეს, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დებულების სტანდარტების მიხედვით თავიანთი სტადიონების მოწყობა ეძვირათ.

ფიფა-მ გადაწყვიტა კიოლნი დორტმუნდით შეცვალოს, ხოლო ნიურნბერგის ხუთ თამაშს შტუტგარტი და მიუნჰენი გაიყოფენ.

ამრიგად, მსოფლიო ჩემპიონატი ცხრა ქალაქში ჩატარდება: დასავლეთ ბერლინში (სტადიონი 82000 მაყურებლისთვისაა გათვალისწინებული), ჰამბურგში (66000), მაინის ფრანკფურტში (66520), შტუტგარტში (71150), ჰანოვერში (62300), გელზენკირჰენში (70000), დიუსელდორფში (70000), მიუნჰენსა (82230) და დორტმუნდში (40000).

I ჯგუფის მატჩები გაიმართება დასავლეთ ბერლინში და ჰამბურგში, II ჯგუფისა — დორტმუნდში (ერთი თამაში), გელზენკირჰენში და მაინის ფრანკფურტში, III ჯგუფისა — დორტმუნდში (ორი შეხვედრა), დიუსელდორფში და ჰანოვერში, IV ჯგუფისა — მიუნჰენში და შტუტგარტში.

ჩემპიონატი გაიხსნება 13 ივნისს მაინის ფრანკფურტში, ხოლო ფინალი 7 ივლისს გაიმართება მიუნჰენის ოლიმპიურ სტადიონზე.

ეს გადაწყვეტილებები ფიფა-მ დიუსელდორფში მიიღო.

(საქ. ინფ.).



**საინტერესო** საფეხბურთო მატჩი გაიმართა რუზენდაალ შ ი. (ჰოლანდია) — ერთმანეთს შეხვდნენ ჰოლანდიისა და ბელგიის სახელგანთქმული პროფესიონალი... ველოსიპედისტები. მინდორზე გამოვიდნენ ისეთი ცნობილი მრბოლელები, როგორიც არიან მერქსი, იანსენი, ვან სპრინგელი და ბევრი სხვა.

სურათზე თქვენ ხედავთ გუნდების კაპიტნებს რ. ვაგტმანსს (ჰოლანდია) და ჰ. ვან სპრინგელს (ბელგია).

მატჩს სჯიდა საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ლ. ვან რავენსი.

ანპ-ს (ამსტერდამი) ფოტო.

# ვფურცლავთ სპორტულ გაზეთებს

## უკანასკნელი რეპორტაჟი

ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტმა რეიკიავიკიდან ასეთი რეპორტაჟი გადასცა:

„საზეიმო დახურვაზე ბობი ფიშერი ჯერ ისეთი გამომეტყველებით იჯდა, თითქოს ჯვარს სწერდნენ პატარძალზე, რომელიც უკვე მოსწყინდა. მსოფლიო ჩემპიონის სახეზე დაახლოებით შემდეგის ამოკითხვა შეიძლებოდა: „მე, რა თქმა უნდა, მესმის, რომ რაღაც უნდა გითხრათ, მაგრამ რაზე გელაპარაკოთ, გინდა მომკალით, არ ვიცი. თქვენგან ნახევარს მაინც ხომ აშკარად არ ესმის რა განსხვავებაა ალბინის კონტრგამბიტსა და მაქს ლანგეს იერიშს შორის".

სპასკი, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში კორექტულობისა და კეთილგანწყობილების მაგალითი იყო, დაეხმარა თავის ამასწინანდელ მეტოქეს. მან ფიშერს წინადადება მისცა ერთად გაერჩიათ გათამაშებული პარტიები. ბობი ისე ჩაეჭიდა ამ იდეას, როგორც დასახრჩობად განწირული ეჭიდება მისთვის გადაგდებულ თოკს. მან ამ მატჩის მანძილზე პირველად შეხედა სპასკის მადლობის ღიმილით.

სპასკიმ თქვა, რომ დიდი ხანია იცნობს ფიშერს, როგორც უდიდესი პრაქტიკული ძალის, ჩინებული საბრძოლო თვისებების მქონე მოჭადრაკეს, რომ მისთვის მოულოდნელი იყო მეტოქის მრავალმხრივი სადებიუტო მომზადება, რაც საშუალებას აძლევდა ეცვალა ტაქტიკა მთელი მატჩის მანძილზე. აღიარა რა ფიშერის გამარჯვება სრულიად დამსახურებულად და დამაჯერებლად, სპასკიმ ამავე დროს სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ თვითონ ამ მატჩის განმავლობაში შორს იყო თავისი საუკეთესო სპორტული ფორმისგან.

მოგვიანებით, როცა ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა, მიაჩნია თუ არა რობერტ ფიშერი ყველა დროის უდიდეს მოჭადრაკედ, სპასკიმ მიუგო: „ჩემი აზრით, მას საამისოდ აკლია, სულ ცოტა, ერთი რამ მაინც: მიხეილ ტალის უსაზღვრო ფანტაზია".

ფიშერმა მატჩის დახურვისას განაცხადა, რომ სპასკის კვლავ მიიჩნევს თავის მთავარ მეტოქედ. „მან დასაწყისში ბავშვური შეცდომები მოსდიოდა, შემდეგ კი სრული ძალით დაიწყო თამაში: მე რამდენიმე პარტიაში დიდი ჯაფა დამადგა, შამათი რომ არ მიმეღო". შემდეგ ფიშერმა განაცხადა, რომ ისლანდია „ძალიან საყვარელი ქვეყანაა", რომ მას ძალიან მოეწონა აქაური სამზარეულო, განსაკუთრებით, ხაჭოსგან დამზადებული კერძი „სკირი". ამავე დროს ფიშერმა თქვა, რომ ძალიან აბრაზებდა ხველება დარბაზში. „ვისაც ხველება სჭირს, ექიმთან უნდა წავიდეს სამკურნალოდ, იმის მაგიერ, რომ სხვებს შეუშალოს ხელი ჭადრაკის თამაშში". თუმცა, როგორც შემდეგ დასძინა ფიშერმა, ყველაფერი ეს წვრილმანია, ის კი დაბადებით გულკეთილია და ცუდი მაშინვე ავიწყდება...

## ... ეივე ასე არ ფიქრობს

ეივე ამაში ფიშერს სრულიადაც არ ეთანხმება. „1956 წელს ნიუ იორკში ჩავედი და მანჰატანში მარშალის სახელობის კლუბში გამოვცხადდი. სათამაშოდ დამსვეს 13 წლის ბიჭთან, რომელსაც საკმაოდ პირქუში სახე ჰქონდა. ეს იყო ბობი ფიშერი. მახსოვს, პარტიის დაწყებიდან საკმაოდ მალე „დავიჭირე" ჩემი ყმაწვილი მეტოქე რაღაც ტაქტიკური ილეთით და მერე კი გაუფრთხილებლად მოვიქეცი: ბიჭს თანაგრძნობის ღიმილით შევხედე. ფიშერმა მყისვე აშალა ფიგურები, წამოხტა და ტირილით გავარდა დარბაზიდან. მას შემდეგ ბობის ჩემთვის არასოდეს არც ერთი სიტყვა არ უთქვამს, თუ არ ჩავთვლით განკარგულებას, რომ მისთვის ტაქსი გამომეძახებინა".

ეივე თავიდანვე ფიქრობდა, რომ ახალ ჩემპიონთან ფიდე-ს უსიამოვნო ურთიერთობა ექნებოდა, რომ ფიშერი აპირებს საერთოდ არ გაითვალისწინოს ფიდე-ს გადაწყვეტილებები. ერთ-ერთ ჟურნალისტთან საუბარში ფიშერმა განაცხადა, რომ აპირებს ყოველწლიურად ითამაშოს მატჩები ნებისმიერ დიდოსტატთან, ვინც კი მის მოთხოვნებს შეასრულებს. „დაე, ყველა რიგში ჩადგეს", — დასძინა მან.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო" №№ 224, 226, 229, 231.

## ობიექტივის მსოფლიო

## ძალიან ენდობიან და უჯერებენ...

**ამერიკის** შეერთებულ შტატებში, როგორც ცნობილია, სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობა ამერიკული ფეხბურთია — ქვეყნის თითქმის ყველა სკოლასა და კოლეჯს თავისი გუნდი ჰყავს.

ამ სურათზე აღბეჭდილია დოილსტოუნის (პენსილვანიის შტატი) „სენტრალ ბაკს უესტ ჰაი სკულის" მოსწავლეთა გუნდი, რომელსაც წვრთნის... კეტი გორდონი. ბიჭები ძალიან ენდობიან ამ სანდომიან ქალიშვილს და უჯერებენ კიდეც.

ასოშიეიტედ პრესის ფოტო.



# უმართებულო შეწირვა

— ბალაშოვმა ფიგურა შესწირა! — ეს ამბავი სწრაფად გახმიანდა მაყურებლებში, რომლებიც ბაქოში ფ. ძერჟინსკის სახელობის კლუბში მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის V ტურის სტარტს ესწრებოდნენ. მოსკოველ დიდოსტატს ეგონა, რომ მსხვერპლის ფასად ვ. ჟიდკოვის (კიევი) მეფის პოზიციის დალაშქვრას შეძლებდა, მაგრამ შეცდა: ჟიდკოვმა მეფე დროულად გახიზნა და უკვე მე-16 სვლაზე ბალაშოვს დანებება მოუხდა.

პირველი გამარჯვება იზეიმა ვ. სავონმა (ხარკოვი). რ. ხოლმოვის (მოსკოვი) ეტლი ცენტრში ისე გაეჩხირა, რომ იძულებული შეიქნა თავი მსუბუქი ფიგურისთვის შეეწირა. სავონმა უპირატესობა ქულად აქცია.

თბილისელი ვ. გუფელდი კ. გრიგორიანთან (ერევანი) შეხვედრაში ყოველ სვლას „ცეცხლს უკიდებდა". მძაფრ ცაიტნოტში გრიგორიანმა დაცვა ვერ ააწყო და 41-ე სვლაზე დამარცხდა.

ნაავადმყოფარმა მ. ტალმა (რიგა) ნ. რაშკოვსკის (კურგანი) შუა თამაშში პაიკი შესწირა და იერიშის მიღებას შეეცადა. მწვავე ბრძოლა ცაიტნოტში გაგრძელდა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ტალს ლაზიერი და პაიკი ჰქონდა რაშკოვსკის ეტლის, კუსა და სამი პაიკის წინააღმდეგ. პარტიის გადადების წინ მეტოქენი დაზავდნენ.

ყაიმით დასრულდა ი. რაზუვაევ (მოსკოვი) — ა. კაპენგუტის (მინსკი) და რ. ჯინჯიხაშვილ (თბილისი) — გ. კუზმინის (ვოროშილოვგრადი) შეხვედრები. ხუთი პარტია გადაიდო.

## ცაიტნოტმა დაღუპა

გუშინწინ გამართული VI ტურის ყველა შეხვედრაში ბრძოლა ძალიან მძაფრად მიმდინარეობდა. პირველი პარტია მოიგო გრიგორიანმა. მან მახე დაუგო ალბურტს და ფიგურა დაუჭირა. პირველად გაიმარჯვა შამკოვიჩმაც. მან რაშკოვსკის სძლია.

პოზიციურ სტილში მიმდინარეობდა ლეინ—ჯინჯიხაშვილის პარტია. ლეინმა ჯერ ტერიტორიული უპირატესობა მოიპოვა, მერე პაიკი მოიგო. მოსკოველმა დიდოსტატმა ადვილად მოახდინა უპირატესობის რეალიზება.

ჟიდკოვი ისე კარგად თამაშობდა ფურმანის წინააღმდეგ, რომ მისი გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. მაგრამ ცაიტნოტში უკრაინელმა ოსტატმა გულდასაწყვეტი შეცდომები დაუშვა და დამარცხდა.

ტალი ყველა შეხვედრას მწვავედ თამაშობს, მაგრამ მეტოქენი მხარს არ უბამენ, ფრთხილობენ და დაზავებას ამჯობინებენ. ასეთი ყაიმით აღინიშნა გუფელდთან ტალის შეხვედრა.

ყაიმით დასრულდა აგრეთვე ბრონშტეინ — ტუკმაკოვის, ბაგიროვ — ზილბერშტეინისა და კუზმინ — სავონის შეხვედრები. სამი პარტია გადაიდო.

ფურმანმა დათმო III ტურის პარტია ტუკმაკოვთან.

ლიდერობენ ვ. სავონი და ა. ლეინი — 3,5-3,5 ქულა, ოღონდ ლეინს 1 გადადებული პარტიაც აქვს.

# სიურპრიზების ტური

მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის (ტოლიატი) XIV ტური სიურპრიზებით აღინიშნა. თ. ბელოვამ (ფსკოვი) ა. კისლოვასთან (ომსკი) პარტიაში ვერ შენიშნა... შამათი ორ სვლაში და მუდმივი ქიშით დაკმაყოფილდა. ლ. იდელჩიკს (ხარკოვი) თანაქალაქელ ო. ანდრეევასთან მნიშვნელოვანი პაიკის დაკარგვა გამორჩა მხედველობიდან და მისი პოზიცია მალე დაიმსხვრა. იდელჩიკმა ისღა შეძლო, რომ პარტია გადადო. ასევე უიმედო მდგომარეობაში გადადეს პარტია ვ. კოზლოვსკაიამ (პიატიგორსკი) ლ. საუნინასთან (სვერდლოვსკი) და ვ. ბაჟინამ (ლენინგრადი) ნ. კონოპლიოვასთან (მოსკოვი). ამ შეხვედრებში კოზლოვსკაიას მეტოქის კუს მანევრი გამორჩა, ბაჟინამ კი ცაიტნოტში ორი პაიკის დაკარგვა ვერ შენიშნა.

ი. ლევიტინამ (ლენინგრადი) მოუგო ა. მკრტჩიანს (ტაშკენტი), მ. რანიკუმ (ტალინი) — ლ. შჩერბინას (სევასტოპოლი).

ოთხი პარტია გადაიდო. რთულ პოზიციაშია შეწყვეტილი ვ. ბორისენკო (ტაშკენტი) — ლ. სემიონოვას (კიევი) და მ. სამულ (ტალინი) — ა. ეპშტეინის (გორკი) პარტიები. ნ. მედიანიკოვას (მოსკოვი) ხარისხი აქვს პაიკში თანაქალაქელ ე. რუბცოვასთან. თანაბარ ენდშპილში შეწყდა ლ. შადურა (კურსკი) — მ. შულის (ლვოვი) პარტია.

ლიდერობას განაგრძობს ი. ლევიტინა — 9,5 ქულა.

# სამივე ლიდერებში

სან-ანტონიოს (აშშ) საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ამერიკის პრესის ყურადღების ცენტრშია. მიმომხილველები განსაკუთრებით აღნიშნავენ სამივე საბჭოთა მოჭადრაკის კარგ სტარტს.

3 ტურის შემდეგ ტურნირში გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყო. საბჭოთა დიდოსტატებმა კარპოვმა და კერესმა წარმატებით ითამაშეს.

კარპოვმა შეძლო უპირატესობის რეალიზება, რის შედეგადაც მოუგო ამერიკელ სეიდისა და ავსტრალიელ ბრაუნს, კერესმა კი დაამარცხა ჰორტი (ჩეხოსლოვაკია). ყაიმით დასრულდა კაპლან (პუერტო-რიკო) — სეიდისა და ბირნ (აშშ) — პორტიშის (უნგრეთი) შეხვედრები.

ორი პარტია: კერეს — სეიდი და მეკინგ — ჰორტი კვლავ დაუმთავრებელი დარჩა.

3 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან კარპოვი, ლარსენი (დანია) — 2,5-2,5 ქულა, კერესი — 2 ქულა და 1 გადადებული პარტია, პეტროსიანი (სსრ კავშირი), გლიგორიჩი (იუგოსლავია), კამპოს-ლოპესი (მექსიკა) — 2-2.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 71)
ფეხბურთი
27 ნოემბერი
საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა
თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (საბჭოთა კავშირის 1972 წლის ჩემპიონი) — გდრ-ის ჭაბუკთა ნაკრები
დასაწყისი 19 ს.
ბილეთები გაიყიდება თამაშის დღეს 11 საათიდან სტადიონის სალაროებში.

ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.
უე 10304